



# საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო პერიოდისთვის  
კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

11 აპრილი, 2025 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ დავით სონღულაშვილს

ბატონო დავით,

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS ([www.aris.sao.ge](http://www.aris.sao.ge)).

პატივისცემით,

**ცოტნე ყავლაშვილი**

გენერალური აუდიტორი

|                                                                                   |           |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------|
| <b>ტერმინები და შემოკლებები .....</b>                                             | <b>2</b>  |
| 1. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....                      | 3         |
| 2. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები ..... | 7         |
| 3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....             | 8         |
| <b>საკონტაქტო ინფორმაცია .....</b>                                                | <b>10</b> |

## ტერმინები და შემოკლებები

**სამინისტრო** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

**სამინისტროს აპარატი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი.

**აღრიცხვის ინსტრუქცია** – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

**დაცული ტერიტორიების სააგენტო** – სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო.

**დონორების პროექტი** – ირიგაციისა და დრენაჟის სისტემის გაუმჯობესება (WB), მერძეეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA, IFAD), საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB).

**სიდას პროექტი** - SIDA – პროექტი „გადავარჩინოთ ბუნება – საქართველო“.

**სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი** – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

**სატყეო სააგენტო** – სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

**სოფლის განვითარების სააგენტო** – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

**დეპარტამენტი** – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება (სსდ) – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

**გარემოს ეროვნული სააგენტო** – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო.

**სურსათის ეროვნული სააგენტო** – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

# 1. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

## 1.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

### აუდიტის მიგნება

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლი მოიცავს მიზნობრივი გრანტის ფარგლებში 2021 წლის პერიოდში<sup>1</sup> ავანსად გადარიცხულ 2,793,464 ლარს,<sup>2</sup> რომელთან დაკავშირებითაც მომწოდებელმა ვერ შეასრულა ვალდებულება. აღნიშნულის გამო ამოქმედდა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია<sup>3</sup> და 2023 წლის 18 დეკემბერს ავანსად ჩარიცხული თანხა უკან დაბრუნდა. შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 2,793,464 ლარის „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები“<sup>4</sup> არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლი გაზრდილია 2,793,464 ლარით. კორექტირება მნიშვნელოვანია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარსადგენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაციის თვალსაზრისით.

### კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო.

## 1.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

### აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შპს „მოსავლის მართვის კომპანიაში“ განხორციელებული ინვესტიციების 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის პირველად ჩატარდა ფინანსური აუდიტი, აუდიტირებული მონაცემებით<sup>5</sup> ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში 54,327,669 ლარით განისაზღვრა. სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში განსხვავდება აუდიტირებული მონაცემებისგან და შეადგენს 75,938,363 ლარს, რაც 21,610,694 ლარით აღემატება აუდიტირებულ მონაცემებს. აღნიშნული გავლენას ახდენს კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების საწყისსა და საბოლოო ნაშთებზე. კორექტირება მნიშვნელოვანია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარსადგენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაციის თვალსაზრისით.

### კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

## 1.3 ძირითადი აქტივები

### აუდიტის მიგნება

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს სახელზე რეგისტრირებული ისეთი ძირითადი საშუალებები (მიწები), რომლებიც არ იყო ასახული ბალანსზე,

<sup>1</sup> 2021 წლის 27 დეკემბერს თანხა გადარიცხა 2021 წლის N #GT-N2041-120801 ხელშეკრულების ფარგლებში.

<sup>2</sup> 907,735 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

<sup>3</sup> N #7634779-11747676.

<sup>4</sup> გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2024 წელს აღნიშნული შეასწორა რეტროსპექტულად, წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთის კორექტირების გზით.

<sup>5</sup> დამოუკიდებელი აუდიტორის (Moore abc) დასკვნა შპს „მოსავლის მართვის კომპანია“, 03.10.2023წ.

სააგენტომ შეაფასა და 2,686,586 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთები<sup>6</sup> 2023 წელს ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც მიმდინარე პერიოდის გრანტიდან მიღებული შემოსავლები. აღნიშნული მონაცემები სააგენტოს უნდა გაესწორებინა რეტროსპექტულად წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთის კორექტირების გზით. შედეგად, „შემოსავლები გრანტებით“ – გაზრდილია, ხოლო „ძირითადი აქტივების“ საწყისი ნაშთი – შემცირებულია 2,686,586 ლარით.

ასევე: გარემოს ეროვნული სააგენტოს სახელზე 2023 წელს დარეგისტრირდა ისეთი ძირითადი საშუალებები,<sup>7</sup> რომლებიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ აღნიშნული ძირითადი საშუალებები (მიწები) შეაფასა და სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე<sup>8</sup> 2024 წლის ბუღალტრულ მონაცემებში ასახა. მიწების ჯამურმა ღირებულებამ 1,530,575 ლარი შეადგინა. შედეგად, მუხლები – „ძირითადი აქტივები“ და „შემოსავლები გრანტებით“ შემცირებულია 1,530,575 ლარით.

კორექტირებები მნიშვნელოვანია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარსადგენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაციის თვალსაზრისით.

**კომპონენტი, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო.

#### 1.4 შემოსავლები გრანტებით

**აუდიტის მიგნება**

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები დონორი ორგანიზაციებისგან იღებენ სხვადასხვა დანიშნულებით გამოსაყენებელ მიზნობრივ გრანტებს, რომელთა სრულად ათვისება ერთ საანგარიშგებო პერიოდში არ ხორციელდება. 2023 წლის ბოლოს სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულების<sup>9</sup> ფარგლებში დარჩენილი აქვს 165,674 ლარის ნაშთი და ვალდებულებად არ აქვს აღიარებული.<sup>10</sup>

გარდა ამისა, განათლების ცენტრმა განსხვავებულ პერიოდში აღიარა მიზნობრივ გრანტთან დაკავშირებული შემოსავალი და შედეგად, „შემოსავლები გრანტებით“ 135,961 ლარითაა შემცირებული, ხოლო „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ მუხლი – 165,674 ლარით.

**კომპონენტი, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

<sup>6</sup> 2023 წლის 20 ნოემბრის N653/ს ბრძანების საფუძველზე 2,554,267 ლარის ღირებულების 14 ერთეული მიწის ნაკვეთი: ს/კ 71.51.02.652; ს/კ 61.11.02.083; ს/კ 84.01.36.073; ს/კ 53.20.33.253; ს/კ 84.18.35.065.059; ს/კ 41.09.39.124; ს/კ 72.09.06.085; ს/კ 55.12.52.000.253; ს/კ 55.18.57.000.087; ს/კ 71.53.05.585; ს/კ 20.42.01.061; ს/კ 57.06.57.000.327; ს/კ 29.08.33.125; ს/კ 71.62.54.291. 2023 წლის 31 მარტის N145/ს ბრძანების საფუძველზე 44,744 ლარის ღირებულების 3 ერთეული მიწის ნაკვეთი: ს/კ 27.06.50.337; ს/კ 53.20.40.706; ს/კ 05.23.06.010. 2023 წლის 10 თებერვლის სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N5000921523 შეფასების საფუძველზე ერთი ერთეული მიწის ფართის კორექტირება: ს/კ 04.01.15.482.

<sup>7</sup> 11 ერთეული მიწის ნაკვეთი: ს/კ 42.16.43.823; ს/კ 74.01.14.556; ს/კ 03.01.22.704; ს/კ 71.54.10.267; ს/კ 85.04.23.245; ს/კ 71.56.31.499; ს/კ 72.16.27.257; ს/კ 26.21.16.233; ს/კ 42.06.46.354; ს/კ 26.26.50.294; ს/კ 74.02.18.227.

<sup>8</sup> სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 7 მარტის ბრძანება N132/ს.

<sup>9</sup> UNDP: Letter of Agreement, 04.01.2022წ., მე-8; მე-9 და მე-15 პუნქტები.

<sup>10</sup> მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულება მოიცავს პირობებს, რომლის თანახმად, გრანტის მიმღებმა თანხა უნდა გამოიყენოს კონკრეტული დანიშნულებით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხა დაუბრუნოს დონორ ორგანიზაციას.

## 1.5 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

### აუდიტის მიგნება

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების თანახმად,<sup>11</sup> სააგენტოს მოვალეობაში შედის სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის, თევზჭერის ლიცენზიის, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა და სხვ., რაც სახელმწიფოს სახელით ფლობილი შემოსავლებია.

მსგავსი ტიპის 3,780,990 ლარის შემოსავლები გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარდგენილი აქვს მუხლში – „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“, ნაცვლად მუხლისა – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული თანხა არ მოიცავს 765,678 ლარის გაცემული ლიცენზიებიდან/ნებართვებიდან<sup>12</sup> მიღებულ შემოსავალს. აქედან გამომდინარე, 2023 წლის გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 4,546,668 ლარს. შედეგად, მუხლი – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“ შემცირებულია 4,546,668 ლარით, ხოლო „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“ გაზრდილია 3,780,990 ლარით.

### კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო.

## 1.6 საპროცენტო შემოსავლები

### აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებული აქვს თანხა, რაზეც წლის განმავლობაში ერიცხება საპროცენტო სარგებელი. სოფლის განვითარების სააგენტოს 2023 წლის საპროცენტო შემოსავლები მოიცავს 2022 წლის დეკემბრისთვის მისაკუთნებელ საპროცენტო სარგებელს – 111,910 ლარს<sup>13</sup> ოდენობით. შედეგად, „საპროცენტო შემოსავლების“ მუხლი გაზრდილია 111,910 ლარით.

### კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

## 1.7 საქონელი და მომსახურება

### აუდიტის მიგნება

სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ „ცხოველთა ჯანმრთელობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2022 წელს გახარჯული 666,627 ლარის ღირებულების მარაგები<sup>14</sup> 2023 წლის ხარჯებში ასახა, რაც რეტროსპექტულად უნდა გასწორებულიყო წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთის კორექტირების გზით. შედეგად, „საქონელი და მომსახურების“ მუხლი და „მატერიალური მარაგების“ მუხლის საწყისი ნაშთი გაზრდილია 666,627 ლარით. კორექტირება მნიშვნელოვანია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარსადგენ

<sup>11</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის საქართველოს 2018 წლის 19 აპრილის N2-255 ბრძანება „სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 2.

<sup>12</sup> ლიცენზიებიდან და ნებართვებიდან მიღებული შემოსავლები: სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზია – 754,378 ლარი; სამონადირეო მეურნეობის ლიცენზია – 8,500 ლარი; აკვაკულტურის ნებართვა – 2,800 ლარი (სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი N1672/01, 26.02.2024წ.).

<sup>13</sup> 2022 წლის დეკემბერში დარიცხული საპროცენტო სარგებელი: სს „ტერაბანკი“ – 40,626 ლარი; სს „ბაზისბანკი“ – 38,287 ლარი; სს „პროგრედიტ ბანკი“ – 25,216 ლარი; სს „თიბისი ბანკი“ – 7,781.

<sup>14</sup> ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსის 2023 წლის 27 აპრილის მოხსენებითი ბარათი N7112/09-12; ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსის 2023 წლის 6 აპრილის მოხსენებითი ბარათი N5895/09-12.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაციის თვალსაზრისით.

კომპონენტი, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

### 1.8 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

აუდიტის მიგნება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სრულად არ არის ელიმინირებული შიდაჯგუფური ნაშთები/ოპერაციები, კერძოდ:

სამინისტროს აპარატის დონორების პროექტისა და სოფლის განვითარების სააგენტოსთან დაკავშირებით, არ არის ელიმინირებული 572,146 ლარის ოდენობის „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებების“ მუხლი და შესაბამისი მოკორესპონდენტო „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი – 596,259 ლარის ოდენობით.

ასევე არ არის ელიმინირებული SIDA-ს პროექტთან – „გადავარჩინოთ ბუნება – საქართველო“ დაკავშირებული შიდა ჯგუფური ოპერაციები, კერძოდ, 387,286 ლარის გრანტის ხარჯი,<sup>15</sup> რომელიც ექვემდებარებოდა ელიმინირებას, ვინაიდან გადაცემული იყო სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტოსთვის.<sup>16</sup>

კომპონენტი, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

<sup>15</sup> იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული გრანტები.

<sup>16</sup> უწყებაში შემავალი ორგანიზაცია.

## 2. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

### 2.1 ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი

#### აუდიტის მიგნება

სამინისტრო თავის სტრუქტურულ ერთეულებს IT მომსახურებას ცენტრალიზებულად უწევს. აღნიშნულ ფუნქციას სამინისტროს აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი ასრულებს.

2014 წლის 29 აპრილის დადგენილების<sup>17</sup> თანახმად, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტია, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილების თანახმად, კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტად სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ერთად განისაზღვრა სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო და სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

აუდიტის ანგარიშის თარიღისთვის სამინისტროში შემუშავებულია, თუმცა დამტკიცებული არ არის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი,<sup>18</sup> ის აუცილებელი პოლიტიკა და პროცედურები, რაც დადგენილია 2022 წელს მოქმედი შესაბამისი მარეგულირებელი ნორმებით.<sup>19</sup> აღნიშნული გარემოება ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულების რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის.

#### კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

<sup>17</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის N312 დადგენილება „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

<sup>18</sup> საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, მუხლი 4.

<sup>19</sup> სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 18 ოქტომბრის N4 ბრძანება „ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, მე-3, მე-7 და მე-10 მუხლები; სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 16 ოქტომბრის N7 ბრძანება „ინფორმაციული აქტივების მართვის წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4. ბრძანებები ძალადაკარგულია 2021 წლის 30 დეკემბრიდან.

### 3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

|                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
|----------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რეკომენდაცია                     | დებიტორული დავალიანებების სათანადო კონტროლის მიზნით მნიშვნელოვანია, სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა წარმოშობის წლების მიხედვით შეისწავლოს მოთხოვნები, რომლებზეც პერიოდის განმავლობაში ბრუნვა არ ყოფილა, შეაფასოს რამდენად აკმაყოფილებენ დებიტორული დავალიანებები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს; ასევე უზრუნველყოს ერთიან სახაზინო კოდზე ჯარიმებთან დაკავშირებული ჩარიცხვების იდენტიფიცირება და დააკორექტიროს შესაბამისი მუხლი.                                                                                                                                                                                  |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | შესრულებული                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| რეკომენდაცია                     | კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია, სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველ ჯარიმებთან მიმართებით დეტალურად გაწეროს სააღრიცხვო პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შემთხვევაში ჩამოაყალიბოს შესაბამისი სააღრიცხვო შეფასება, რის მიხედვითაც წარადგენს ინფორმაციას ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც უზრუნველყოფს მსგავსი ოპერაციებისთვის ერთიანი მიდგომის გამოყენებას.                                                                                                                                                |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | შესრულებული                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| რეკომენდაცია                     | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია სსიპ – ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უზრუნველყოს მარაგების მომავალი გამოყენებისთვის იდენტიფიცირება უსარგებლო და გამოუსადეგარ მარაგებთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | შესრულებული                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| რეკომენდაცია                     | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ძირითადი აქტივებისა და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურების ინდიკატორების არსებობის დადგენა სსპას 21-ის მოთხოვნების მიხედვით. ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ იმსჯელოს ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხული გამოყენებული დანადგარებისა და 147,618 ლარის დაუმთავრებელი აქტივების შესახებ, ხოლო სსიპ – გარემოს ეროვნულმა სააგენტომ – 231,973 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აქტივების მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელონ გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად. |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | შესრულებული                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| რეკომენდაცია                     | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ანალოგიურ ვითარებაში განხორციელებული მსგავსი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |

|                                  |                                                                                                                                                                                                                                                                              |
|----------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                  | ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ სამინისტრომ შეიმუშაოს და გამოიყენოს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. კერძოდ, განსაზღვროს რესურსების გადინების/შემოსვლის ალბათობები და მათთან დაკავშირებული ვალდებულებების/აქტივების ტიპები.                                                    |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | შესრულებული                                                                                                                                                                                                                                                                  |
| რეკომენდაცია                     | დებიტორული დავალიანების სათანადო კონტროლის მიზნით, მნიშვნელოვანია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ შეაფასოს გაცემული სესხების მიღების ალბათობა და მათი აქტივად აღიარების საკითხი, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.                  |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | შესრულებული                                                                                                                                                                                                                                                                  |
| რეკომენდაცია                     | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ შეაფასოს მის მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში გაცემული ხელშეკრულებები – პირობას შეიცავს, თუ შეზღუდვას და აღნიშნულიდან გამომდინარე, აღრიცხოს გაცემული სუბსიდიის თანხა. |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | შესრულებული                                                                                                                                                                                                                                                                  |

|                                                                                                              |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>გაცემული<br/>რეკომენდაციების<br/>შესრულების<br/>მონიტორინგის<br/>პროცესზე<br/>პასუხისმგებელი<br/>პირი</b> | <b>თათია ცისკარაული</b> (ელფოსტის მისამართი: <a href="mailto:Ttsiskarauli@sao.ge">Ttsiskarauli@sao.ge</a> )                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| <b>სახელმწიფო<br/>აუდიტის სამსახურის<br/>რეკომენდაციების<br/>შესრულების<br/>მონიტორინგის<br/>სისტემა</b>     | <a href="https://aris.sao.ge/">https://aris.sao.ge/</a>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <b>ვებგვერდი და<br/>სოციალური მედია</b>                                                                      | <a href="https://www.sao.ge/">https://www.sao.ge/</a><br><a href="https://www.budgetmonitor.ge/ka">https://www.budgetmonitor.ge/ka</a><br><a href="http://www.blog.sao.ge/">http://www.blog.sao.ge/</a><br><a href="http://www.sai.ge/main/">http://www.sai.ge/main/</a><br><a href="https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/">https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/</a><br><a href="https://www.youtube.com/user/saogeorgia">https://www.youtube.com/user/saogeorgia</a><br><a href="https://www.facebook.com/www.sao.ge">https://www.facebook.com/www.sao.ge</a> |
| <b>ცხელი ხაზი</b>                                                                                            | (+995 32) 243 81 81                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| <b>ელფოსტის მისამართი</b>                                                                                    | <a href="mailto:sao@sao.ge">sao@sao.ge</a>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38

**SAO.GE**